დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3

2020 წლის 21 თებერვალი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/03/2011; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020080000.35.156.016044) და პირველი და მე-9 პუნქტებს ჩაემატოს „82[5]" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ იქნეს ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის "43[1], 43[2], 51[3], 53[3], 55, 55[2], 55[3], 77[1], 77[2], 82[5], 103, 119[1], 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი, 127[1] მუხლის მე-5 ნაწილი, 145-ე, 146[1], 148-ე, 150-ე151-ე, 151[2], 152-ე, 152[2], 153[4] , 159-ე, 159[1] მუხლები."

„9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77[1], 77[2], 82[5], 103, 119[1], 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 145-ე, 146[1], 148-ე, 150-ე, 150-ე-151-ე, 151[2], 152-ე, 152[2], 153[4], 159-ე და 159[1] მუხლებით და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი